ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. სექტემბრის 20. № 18 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

185. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილების შესახებ.

სამხედრო საქმე

186. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების საერთო სასწავლო თავმოყრის დროს სამხედრო უწყების განკარგულებაში ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის გადაცემის შესახებ.

187. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავდგომთა საკადრო შედგენილობის საბინაო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებთა შესახებ.

მრეწველობა

188. სარეწაო კოოპერაციის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

189. შრომის არტელების სარეწაო-კოოპერატიულ ამხანაგობებად (არტელებად) რეორგანიზების წესისა და ვადის შესახებ.

ტრანსპორტი

190. 1931 წ. ბამბის მოკრეფის კამპანიის მსვლელობის დროს გაჭირვებულ მეურნეობებისათვის სატრანსპორტო დახმარების გასაწევად კულაკურ-შეძლებული მეურნეობების სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაციის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

191. კომუნალური საბინაო ფონდის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის 3[1] მუხლის დამატების შესახებ.

192. ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ საცხოვრებელ შენობათა საიჯარო ქირის განაკვეთების სანიმუშო დიფერენცირებული შკალის შესახებ.

193. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 23 მუხლის შეცვლის შესახებ.

ფინანსები

194. „სახელმწიფო შენაერთებისა, ტრესტებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა თაობაზე" გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ.

195. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

196. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლისათვის „გ“ პუნქტის დამატების შესახებ.

197. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების 21 მუხლის „დ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

შრომა

198. შორეულ ადგილებში და ქალაქის ტიპის დიდრონი დასახლებული ადგილების გარეთ მომუშავე პირთა შეღავათების დებულების გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება

199. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ.

200. წარმოებაში მომუშავე მუშათა და მუშაქალთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

201. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს შესახებ.

სისხლის სამართალი

202. სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლის შესახებ.

203. სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული სანქციის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

204. მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

185. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილების შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. ც. ა. კ.-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილების შესახებ.

1. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულად გ-მოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არის სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სოციალისტური აღნუსხვისა, შესწავლისა და დაგეგმვის ორგანო.

2. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი, ანხორციელებს-რა თავისი მოქმედებით სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) პრეზიდიუმის დირექტივებსა, დადგენილებებსა და განკარგულებებს, ამავე დროს შედის საერთო საგეგმო სისტემაში და ექვემდებარება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

3. საგეგმო სასტატისტიკო ნაწილის ძირითად ამოცანებს შეადგენს:

ა) რაიონის (ქალაქის) მეურნეობის ყველა დარგისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დაგეგმვა;

ბ) აქტიური მონაწილეობა რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მყოფ საერთო-საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გეგმების დამუშავებაში და დასკვნის მიცემა ამ გეგმების შესახებ;

გ) ხელის შეწყობა არსებული წესისამებრ დამტკიცებული ყველა გეგმის შესრულებისათვის—ისეთი პირობების შექმნით, რაც ხელსაყრელი იქნება გეგმების განსახორციელებლად, და კონტროლის გაწევა მათი შესრულებისათვის;

დ) პირველადი სტატისტიკური მასალის შეკრება და მისი იმ ნაწილის დამუშავება, რაც საჭიროა რაიონის (ქალაქის) მეურნეობის განვითარების გეგმის შესადგენად.

შენიშვნა. პირველადი სტატისტიკური მასალების დამუშავების პროგრამას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია იძლევა წინასწარვე, რაიონში (ქალაქში) სასტატისტიკო სამუშაოთა დაწყების დროს. უკეთუ რაიონის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის დაგეგმვის მიზნით, რაიონს (ქალაქს) დასჭირდა პირველადი სტატისტიკური მასალის დამუშავება მიცემული პროგრამის და მოცულობის გარეშე, რაიონი (ქალაქი) მოვალეა თვითეულ ცალკე შემთხვევაში შეათანხმოს ეს საკითხი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და მხოლოდ მისი დასტურის მიღების შემდეგ შეუდგეს მუშაობას.

4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი მუშაობს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საერთო ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით და თავისი მოქმედებით ანხორციელებს მის დირექტივებს, ინსტრუქციებს და ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეულ დავალებებს რაიონის (ქალაქის) სამეურნეო განვითარების ძირითადი მიმართულებისა, დაგეგმვის და აღნუსხვის ობიექტებისა, დაგეგმვის და აღნუსხვის მეთოდოლოგიისა, საგეგმო და საალნუსხვო სამუშაოთა პროგრამისა და ვადების შესახებ.

შენიშვნა. სასტატისტიკო აღნუსხვის დარგში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) საგეგმო სასტატისტიკო ნაწილი ასრულებს აგრეთვე ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყველა დირექტივასა და დავალებას.

5. ყველა ძირითად მასალას, რაც საჭიროა გეგმების დამუშავებისა და აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად, საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი მიიღებს დაწესებულებათა და საწარმოთაგან; ამასთანავე სარაიონო (საქალაქო) მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ წარსადგენი ცნობების ფორმებს და წარდგენის ვადებს აწესებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი, ხოლო ყველა დანარჩენებისათვის—საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია.

6. საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილს ეკისრება:

ა) მოაწყოს, ხელმძღვანელობა გაუწიოს და გააერთიანოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) განყოფილებებისა, სასოფლო საბჭოებისა, სოფლის სტატრწმუნებულებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სარაიონო (საქალაქო) და სასოფლო მნიშვნელობის სხვა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მთელი საგეგმო და საალნუსხვო-სასტატისტიკო მუშაობა;

ბ) შეადგინოს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა (საქალაქო საბჭოს) და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივების შესაბამისად,—სასოფლო საბჭოების მიერ გაერთიანებული ტერიტორიების ხაზით,—რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საპერსპექტივო გეგმებისა და საკონტროლო ციფრების პროექტები;

გ) შეადგინოს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა (საქალაქო საბჭოს) და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დავალებათა მიხედვით, რაიონის (ქალაქის) მეურნეობის სხვადასხვა საკითხებისათვის ცალკეული გეგმები ან დაამუშაოს მასალები ამ გეგმებისათვის;

დ) განიხილოს და შეავსოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) განყოფილებებისა და რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების ცალკეული სადარგო ოპერატიული გეგმები;

ე) მისცეს დასკვნები რაიონის (ქალაქის) სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ცალკეული საკითხების გამო;

ვ) მოაწყოს რაიონის ტერიტორიაზე წარმოებული სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის კონიუნქტურული დაკვირვებანი და საკონიუნქტურო მიმოხილვებისა და ანგარიშების შედგენა, გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და შედეგების შეფასებით და საჭირო ღონისძიებათა პროექტირებით;

ზ) მოაწყოს და აწარმოოს, საქართველოს სსრ-ისა და ა/კსფსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიების დავალებებისა და პროგრამების მიხედვით, სასტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტისტიკო სამუშაოები (აღწერები და გამოკვლევები) რაიონის (ქალაქის) მასშტაბით და უშუალოდ ჩაატაროს სარაიონო (საქალაქო) მნიშვნელობის სასტატისტიკო სამუშაოები;

თ) შეისწავლოს და შეიმუშაოს რაიონის (ქალაქის) ეკონომიკისა, ეროვნული მშენებლობისა და დარაიონების საკითხები;

ი) მისცეს დასკვნები სარაიონო (საქალაქო) და სასოფლო ბიუჯეტების პროექტებისა და მათი შესრულების ანგარიშების გამო;

კ) განიხილოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (ქალაქის საბჭოს) სავალდებულო დადგენილებათა პროექტები სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების შესახებ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ეს პროექტები რაიონის (ქალაქის) საჭიროებათ, და წარუდგინოს მათ შესახებ დასკვნები სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს (საქალაქო საბჭოს).

7. საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის მას უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) ყველა განყოფილებას, სასოფლო საბჭოს და სარაიონო და სასოფლო მნიშვნელობის ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას მათი საგეგმო განზრახულებანი და საანგარიშო ცნობები, მომქმედი ანგარიშგების ფარგლებში;

ბ) იქონიოს უშუალო ურთიერთი მიმართვა რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მომქმედ ყველა დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციასთან ყველა იმ საკითხების გამო, რაც დაკავშირებულია საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილისათვის დაკისრებულ დავალებათა შესრულებასთან, და მოსთხოვოს მათ გეგმებისა, სტატისტიკური მასალისა და საამისო ახსნა-განმარტების წარდგენა იმ ვადაზე, რასაც თვით განსაზღვრავს;

გ) მოსთხოვოს რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, მათი ქვემდებარეობის მიუხედავად, ყველა იმ საგეგმო და საანგარიშო მასალის ასლის წარდგენა, რასაც ისინი თავიანთ ხელმძღვანელ ორგანოებს უგზავნიან, და აგრეთვე მოსთხოვოს საამისო ახსნა-გინმარტებანი;

დ) მოსთხოვოს რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საწარმოს, დაწესებულებას და ორგაწიზაციას ცნობები ამა მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ საგეგმო განზრახულებათა დამუშავების მსვლელობის შესახებ და სხვა საამისო მასალა, და აგრეთვე ცნობები გეგმების შესრულების შესახებ, მომქმედი ანგარიშგების ფარგლებში;

ე) მისცეს ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ დამატებითი დავალებანი და მეთოდოლოგიური დირექტივები ზემდგომი საგეგმო კომისიების დირექტივების საფუძველზე;

ვ) ჩააბას საგეგმო პრობლემების დამუშავებაში რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებანი, საწარმონი და სამეცნიერო ორგანიზაციები და აგრეთვე ცალკეული მომუშავენი;

ზ) მოიწვიოს სარაიონო (საქალაქო) თათბირები დაგეგმვისა და სასტატისტიკო აღნუსხვის საკითხების გამო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) გამოსცეს და გამოაქვეყნოს საგეგმო-სასტატისტიკო ხასიათის ნაშრომები და მასალები, რაც მისი მოქმედების შედეგია.

8. საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილის მიერ რაიონის (ქალაქის) ყველა სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან სისტემატიური კავშირის დამყარებასა, გეგმების შედგენასა და განხილვაში ორგანიული მონაწილეობის მიღებისა, საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილის მუშაობის გარშემო საზოგადოებრივი აქტივის შექმნისა და მშრომელთა მასების მიერ გეგმის დამუშავებაში მონაწილეობის მიღების მიზნით საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილთან მოეწყობა მუდმივი საგეგმო თათბირი.

9. საგეგმო თათბირის შედგენილობას განსაზღვრავს და პერსონალურად დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი (საქალაქო საბჭო). საგეგმო თათბირის განსახილველი საკითხების ფარგალს და განხილვის ვადებს დააწესებს საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი და დაამუშავებს საგეგმო თათბირი. მასალებს საგეგმო თათბირისათვის ამუშავებენ უწყებები საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილთან ერთად.

10. საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილის სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება კანონით.

საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილის შესანახი ხარჯები შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში.

11. სარაიონო (საქალაქო) საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილის სათავეში სდგას სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) თავმჯდომარე.

12. საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილს ტეხნიკურ მომსახურეობას უწევს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) საერთო განყოფილება (კანცელარია).

სამხედრო საქმე

186. დადგენილება ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების საერთო სასწავლო თავმოყრის დროს სამხედრო უწყების განკარგულებაში ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის გადაცემის შესახებ.

„ცვალებადი შედგენილობის სწავლების დროს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცხენებით, საქარავნო საზიდავებით და შესაბმელობით დაკომპლექტების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 22 №-ი, მუხ. 184) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების საერთო სასწავლო თავმოყრის დროს, რაც 1931 წ. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სწარმოებს, გადაიცეს საოანადო სამხედრო ნაწილების დროებითს გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგულებაში საჭირო რაოდენობის ცხენები, საზიდავები და შესაბმელობა, რაც მოსახლეობას და აგრეთვე განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთ და დაწესებულებათ ეკუთვნის.

შენიშვნა. ამა დადგენილების წესისამებრ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილები პირველ რიგში დაკომპლექტებულ უნდა იქნეს კულაკური მეურნეობების ცხენებით, საზიდავებით და შესაბმელობით.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) დაუყოვნებლივ გამოარკვიონ, სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით, და გაანაწილონ ცალკეულ დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა შორის ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის რაოდენობა, რაც უნდა გადაიცეს სამხედრო ნაწილების განკარგულებაში სასწავლო თავმოყრის ჩატარების დროს;

ბ) განსაზღვრონ იმ გასამრჯელოს მტკიცე შეფასება და გადახდის წესი, რაც უნდა მიეცეს სამხედრო ნაწილების განკარგულებაში სასწავლო თავმოყრის დროს გადასაცემი ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის პატრონთ; ეს შეფასება უნდა მოხდეს უწყებულ ადგილას არსებული საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით;

გ) მოაწყონ კომისიები ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის მისაღებად, შესაფასებლად და პატრონთათვის დასაბრუნებლად, კომისიაში უნდა შევიდნენ სამხედრო უწყების წარმომადგენელნი (კომისიის თავმჯდომარე), სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (საქალაქო საბჭოს) წარმომადგენელი და ვეტერინარი-ექიმი; სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით განსაზღვრულ უნდა იქნეს ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის მისაღები პუნქტები.

შენიშვნა. ამა მუხლის „ბ“ პუნქტით დადგენილი გასამრჯელო არ მიეცემათ კულაკურ მეურნეობებს და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებს, საბჭოთა მეურნეობებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს დაადგინონ, სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით, წესი, რომლითაც უნდა ეცნობოს მოსახლეობას მისი მოვალეობანი ცვალებადი შედგენილობის სწავლების დროს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცხენებით, საზიდავებით და შესაბმელობით დაკომპლექტების საქმეში და აგრეთვე ის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით, რაც კანონით დადგენილია ამ მოვალეობისაგან თავის არიდებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აგვისტოს 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ, „კომუნისტის“ 183 №-ში 1931 წ. აგვისტოს 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

187. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა საკადრო შედგენილობის საბინაო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს მიუჩინონ ხოლმე, გარნიზონის უფროსის განცხადებისამებრ, უპირატესად სხვა განცხადებებისა და პირველ რიგში, საცხოვრებელი ფართობი გარნიზონში სამსახურისათვის მოსულ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა საკადრო შედგენილობის პირთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ პირთა დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართობით თვით გარნიზონის უფროსს არ შეუძლიან ამ ფართობის უქონლობის გამო სამხედრო უწყებაზე მიმაგრებულ სახლებში ან სპეციალურ სამხედრო საბინაო ფონდში (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ის თარიღისა და 98 №-ის დადგენილება—საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-11 №-ი, მუხ. 157).

2. უფლება მიეცეს სამხედრო უწყებას გამოასახლოს ხოლმე, ადმინისტრატიული წესით, როგორც ამ უწყებაზე მიმაგრებული სახლებიდან, ისე სპეციალურ სამხედრო საბინაო ფონდში ჩარიცხული ბინებიდან სხვა ქალაქებში სამსახურისათვის გადაყვანილი ან მუდმივ საცხოვრებლად გადასული პირნი და მათი ოჯახები იმ პირობით, რომ ეს პირნი წინასწარ გაფრთხილებულ იქნენ გადასახლების შესახებ ერთი თვით ადრე და მიეცეს მათ საცხოვრებლად ვარგისი ფართობი.

შენიშვნა. ამა მუხლის შეფარდების დროს ძალაში რჩება კანონით დადგენილი შეღავათი იმ პირთათვის: ა) რომელნიც მუშაობენ სსრკ-ის შორეულ ადგილებში და ქალაქის ტიპის დიდრონი დასახლებული ადგილების გარეთ, ბ) რომელნიც მუშაობენ დამკვრელი ხასიათის მშენებლობაზე და გ) რომელნიც წარვლინებულ არიან საზღვარგარეთ სამსახურისათვის.

3. დაევალოს საქალაქო საბჭოებს მიუჩინონ ხოლმე, სათანადო სამხედრო ორგანოს განცხადებით საჭირო საცხოვრებელი ფართობი იმ პირებს, რომელნიც გამოსახლებულ იქნებიან სამხედრო უწყებაზე მიმაგრებული სახლებიდან „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებული საცხოვრებელი სახლებიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილების წესისამებრ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22-ი №-ი, მუხ. 255 და 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 92) და ამა დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

საქართველოს სსრ-ის მომქმედ კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „მოქალაქეთა მიერ დაჭერილი სადგომებიდან მათი ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლის „ე“ პუნქტი, ამავე მუხლის უკანასკნელი ნაწილი და მე-6 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[4. ადმინისტრატიული წესით გამოსახლება ყოველ ჟამს წლის განმავლობაში, გამოსახლებისათვის არა ნაკლებ ერთი თვის ვადის მიცემით და ამა დეკრეტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილ მოქალაქეთათვის აუცილებლად საცხორებლად ვარგისი თავისუფალი სივრცისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემით, შეიძლება:....]

„ე) იმ სახლიდან, რაც სამხედრო უწყებას ეკუთვნის, და აგრეთვე იმ ოთახიდან და ბინიდან, რაც ჩარიცხულია სპეციალურ სამხედრო საბინაო ფონდში (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ის თარიღისა და 98 №-ის დადგენილება—საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-11 №ი, მუხ. 157);“

„ამა მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრატიული წესით გამოსახლების საფუძვლად შეიძლება იყოს მხოლოდ ის გარემოება, რომ გამოსახლებულმა პირმა დაჰკარგა, ან მას აღარა აქვს კავშირი მუშაობისა თუ სამსახურის სფეროში იმ დაწესებულებასა, უწყებასა და საწარმოსთან, რომელსაც უჭირავს სახლი ან სადგომი, ხოლო „ე“ პუნქტში აღნიშნული სადგომების მიმართ აგრეთვე ის გარემოება, რომ გამოსახლებული პირი აღარ მსახურობს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში ან გადაყვანილია სხვა ადგილას სამსახურისათვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლით“.

„6. გამოსახლების დროს მისაცემი საცხოვრებელი სივრცე უნდა იყოს: ა) არა ნაკლებ უწყებულ ადგილას დაწესებული საბინაო-სასანიტარო ნორმისა, ბ) სანიტარული მხრით საცხოვრებლად ვარგისი; მისაცემი სივრცის ვარგისობა სანიტარული მხრით, უკეთუ გამოსახლებული პირი პროტესტს განაცხადებს, უნდა დაადასტუროს საბინაო-სასანიტარო ინსპექციამ.

შენიშვნა. მე-4 მუხლის „ე“ პუნქტში აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომებიდან გამოსახლების დროს გამოსახლებულ პირს უნდა მიეცეს ისეთი ზომის საცხოვრებელი ფართობი, რაც ნაკლები არ იქნება უწყებულ ადგილას არსებულ საშუალო ფაქტიურ საცხოვრებელ ნორმაზე“.

2. მე-5 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „ბინებში იძულებით შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ„ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81 და მე-19 №-ი, მუხ. 286) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„5. ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში, სადაც საცხოვრებელი სივრცე მიცემული აქვთ ამ სახლებში მოთავსებული დაწესებულებისა და საწარმოს თანამშრომელთ, მათი მუშაობისა თუ სამსახურის ხასიათის მიხედვით, სახელმწიფო დაწესებულებაზე და მის თანაბარ დაწესებულებასა და საწარმოზე, არსებული წესისამებრ, მიმაგრებულ სახლებში და სამანევრო ფონდის სახლებში, აგრეთვე სპეციალური სამხედრო საბინაო ფონდში ჩარიცხულ სადგომებში (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ის თარიღისა და 98 №-ის დადგენილება—საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-11 №-ი, მუხ. 157), ზედმეტი საცხოვრებელი სივრცის ჩამოსართმევად, რათა ეს სივრცე გამოყენებულ იქნეს დაწესებულებისა და საწარმოს საჭიროებისათვის ან მიეცეს საცხოვრებლად თუ სამუშაოდ ამ დაწესებულებისა და საწარმოს თანამშრომელთ, ხოლო სამანევრო ფონდის სახლებში, სამხედრო უწყების სახლებში და სპეციალური სამხედრო საბინაო ფონდის სადგომებში, საერთოდ, განთავისუფლებული საცხოვრებელი სივრცის მიზანშეწონილად გამოყენებისათვის,—შეიძლება იძულებითი შემჭიდროება ზედმეტი ოთახის ჩამორთმევით, ბინის გადაკეთებით ან გადასახლებით იმავე სახლის ფარგლებში, იმ პირობით-კი, რომ შემჭიდროებულ პირს მიეცეს, შემამჭიდროებელი დაწესებულების თუ საწარმოს ანგარიშზე, სხვა სათანადოდ გამოსაყენებელი და მოხერხებული ბინა, რომლის საცხოვრებელი ფართობი არ უნდა იყოს დადგენილ ნორმაზე ნაკლები, ხოლო სამხედრო უწყების სახლებში და სპეციალური სამხედრო საბინაო ფონდის სადგომებში—ამა თუ იმ ადგილას არსებულ ფაქტიურ ნორმაზე ნაკლები.

იძულებით შემჭიდროებას და გადასახლებას ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოახდენს ადმინისტრატიული წესით მილიციის ორგანო იმ დაწესებულებისა თუ საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების თანახმად. რომელზედაც მიმაგრებულია სახლი“.

ზემოაღნიშნული კანონის იმავე ნუხლის 1, 2 და 3 შენიშვნები ძალაში დარჩეს.

III.

გაუქმებულ იქნეს 1-ლი მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931წ. ივლისის 13-ის დადგენილებისა მოქალაქეთა მიერ დაჭერილი სადგომებიდან ადმინისტრატიული წესით მათი გამოსახლების წესისა და პირობების თაობაზე გამოცემული 1927წ. მარტის 20-ის დეკრეტის მე- 4, 5, 8, 9 და 11 მუხლების შეცვლისა და ამავე დეკრეტისათვის 11[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. 15 №-ი, მუხ. 177).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

188. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ ს.

სარეწაო კოოპერაციის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 57 №-ი, მუხ. 606), რომელი დადგენილებაც ეხება ცრუკოოპერატივებთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სარეწაო კოოპერაციის დებულების 136 მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი. მუხ. 78) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციის მოსპობა იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი გადაუხვევს წესდებაში აღნიშნულ მიზანს ან უკეთუ მისი მოქმედება სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ გადაიხრება (135 მუხლის "ე" პუნ.), შეიძლება საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს დადგენილებით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარდგენისამებრ და აგრეთვე აფხაზეთის ავტ. სსრ, აჭარისტანის ავტონ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით—მათი სათანადო ქვემდებარე ორგანოების წარდგენისამებრ. ხოლო სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციის მოსპობა—იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ცნობილ იქნა ცრუკოოპერატივად, შეიძლება მოხდეს სოფლად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით და ქალაქად საქალაქო ან სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

როდესაც კოპერატიული ორგანიზაცია გადაუხვევს წესდებაში აღნიშნულ მიზანს, ან როდესაც მისი მოქმედება სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ გადაიხრება, დადგენილება მისი მოსპობის შესახებ გამოიტანება იმ კოოპერატიული კავშირისაგან დასკვნის გამოთხოვის შემდეგ, რომლის წედგენილობაშიაც აღნიშნული ორგანიზაცია შედის; ხოლო როდესაც კოოპერატიული ორგანიზაცია ცნობილ იქნება ცრუკოოპერატივად, დადგენილება მისი მოსპობის შესახებ გამოიტანება მას შემდეგ, რაც გამოთხოვილ იქნება დასკვნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შინამრეწველობის კომიტეტისა ან მისი სათანადო ორგანოსი აფხაზეთის ავტ. სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში იმ ორგანიზაციების მიმართ, რომელნიც სარეწაო კოოპერაციის სისტემაში არ შედიან, და სარეწაო კოოპერაციის კავშირისა—იმ კოოპერატიული ორგანიზაციების მიმართ, რომელნიც სისტემაში შედიან“.

2. სარეწაო კოპერაციის დებულების 136 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ცრუკოოპერატივად ჩაითვლება კოოპერატივი, უკეთუ მასში მონაწილეობას იღებენ კულაკები და სხვა პირები, რომელთაც არა აქვთ კოოპერატივის წევრად ყოფნის უფლება, და უკეთუ ეს პირები, მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაშკარავების შემდეგ, თვით კოოპერატივის ორგანოს არ გაურიცხავს, ან უკეთუ კოოპერატივის მოქმედება სოციალისტური მშენებლობის ინტერესების საწინააღმდეგოდ გადაიხარა.

იმ ორგანიზაციის მიმართ, რომლის მოქმედებაც შეიძლება გამოსწორდეს, მიღებულ უნდა-იქნეს გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, მაგალითად: ორგანიზაციიდან ყველა იმ პირის გამორიცხვა, ვინც მასში უკანონოდ მონაწილეობს, მმართველობის და რევიზიის ორგანოების ხელახლად არჩევა, გაძლიერებული საინსტრუქტორო ხელმძღვანელობა და კონტროლი სათანადო ორგანოების მხრივ, ორგანიზაციის შედგენილობაში ახალი წევრების მიღება, მისი ჩაბმა კოოპერატიულ სისტემაში და სხვა.

ის ორგანიზაცია, რომლის გაჯანსაღებაც აღნიშნული ღონისძიებით შეუძლებელია, აუცილებლად ლიკვიდირებულ უნდა იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.
ტფილისი.

---

189. დადგენილება ს.კ.ს.

შრომის არტელების სარეწაო-კოოპერატიულ ამხანაგობებად (არტელებად) რეორგანიზების წესისა და ვადის შესახებ.

„შრომის არტელების რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 12-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 77) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომის არტელების რეორგანიზება სარეწაო კოოპერატიულ ამხანაგობებად (არტელებად), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 12-ის დადგენილებაში აღნიშნულ საფუძველზე (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 76), უნდა მოხდეს 1931 წლის დეკემბრის 1-დე.

მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სათანადო ორგანოებს — განსაზღვრონ, საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის გამგეობასთან შეთანხმებით, ცალკეული შრომის არტელებისათვის სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) წესდებაზე გადასვლის ვადა ამა მუხლის 1-ლ აბზაცში აღნიშნული ვადის ფარგლებში.

2. შრომის არტელების გადასვლა სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობების (არტელების) წესდებაზე უნდა მოხდეს განსაზღვრული ვადების განმავლობაში, ისეთი ვარაუდით, რომ ამან ხელი არ შეუშალოს შრომის არტელების მიერ რეორგანიზაციამდე სათანადო ვალდებულებით ნაკისრებ სამუშაოთა თავის დროზე შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) წესდებაზე გადამსვლელი შრომის არტელი მოვალეა შეიტანოს სარეწაო კოოპერაციის იმ სარაიონო კავშირში, რომლის ტერიტორიაზედაც იგია, განცხადება, რომ მას სურვილი აქვს შევიდეს სარეწაო კოოპერაციის სისტემაში, და ასლი ამ განცხადებისა წარადგინოს იმავე დროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ან აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სათანადო ორგანოში—კუთვნილებისამებრ.

4. სარეწაო კოოპერატიულ ამხანაგობის (არტელის) წესდებაზე გადამსვლელი შრომის არტელი ჩარიცხულ უნდა იქნეს საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემაში ერთი თვის ვადაზე დღიდან მისი გადასვლისა სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) წესდებაზე; ხოლო ის შრომის არტელი, რომელიც თავს არიდებს სარეწაო კოპერატიულ ამხანაგობის (არტელის) წესდებაზე გადასვლას და სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შესვლას, ლიკვიდირებულ უნდა იქნეს იმ ვადის განმავლობაში, რასაც განსაზღვრავენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სათანადო ორგანოები—კუთვნილებისამებრ.

5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, სარეწაო კოოპერაციის კავშირთან („სარეწაო კავშირი") ერთად, უნდა განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი ამა დადგენილების აღსრულებისათვის.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივლისის 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 195 №-ში 1931 წ. აგვისტოს 26.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

190. დადგენილება ს.კ.ს.

1931 წ. ბამბის მოკრეფის კამპანიის მსვლელობის დროს გაჭირვებულ მეურნეობებისათვის სატრანსპორტო დახმარების გასაწევად კულაკურ-შეძლებული მეურნეობების სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაციის შესახებ.

„1931 წ. ბამბისათვის სადამკვრელო კამპანიის მოსაწყობად და ჩასატარებლად" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების VI კარის შესაბამისად („ზარია ვოსტოკა"-ს 1931 წ. 221 №-ი)—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1931 წელს ბამბის დამზადებისა და ბამბის მოკრეფის კამპანიის მსვლელობის დროს მობილიზებულ იქნეს საბამბე რაიონებში კულაკურ-შეძლებული მეურნეობების სატრანსპორტო საშუალებანი სატრანსპორტო დახმარების გასაწევად გაჭირვებულ კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის—ნედლი ბამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და ბამბის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებული სხვა ტვირთის გადასაზიდად მიღებისა და ჩაბარების პუნქტებზე და ბამბის ქარხნებში.

2. სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაციის განხორციელება დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ბამბის დამმზადებელი ორგანიზაციების მოთხოვნისამებრ.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ნედლი ბამბისა და სხვა ტვირთის გადაზიდვის სასყიდელი დაწესებულ იქნეს 1 კაპიკის რაოდენობით ფუთ-კილომეტრზე.

აღნიშნული სასყიდელი გაცემულ უნდა იქნეს იმ მეურნეობების ხარჯზე, რომელთაც მომსახურეობა გაეწევათ ამა დადგენილების წესისამებრ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აგვისტოს 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 189 №-ში 1931 წ. აგვისტოს 18.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

191. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კომუნალური საბინაო ფონდის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის 3¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ" გამოცემულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 20-ის დადგენილებას (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1 №-ი, მუხ. 5) დაემატოს 3¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„3¹. კომუნალური მეურნეობის ორგანოების მოთხოვნით სახლის მფლობელი ვალდებულია მოითხოვოს, რომ დამქირავებელს ჩამოერთვას ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი კომუნალურ საბინაო ფონდში გადასაცემად იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია „იძულებითი შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მარტის 11-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81 და 19 №-ი, მუხ. 286).

უკეთუ სახლის მფლობელი ამ მოთხოვნას ათი დღის ვადაზე არ შეასრულებს, კომუნალური მეურნეობის ორგანოს უფლება აქვს ჩამოართვას ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი კომუნალურ საბინაო ფონდში გადასარიცხავად, რისთვისაც აღძრავს სათანადო სარჩელს უშუალოდ დამქირავებლის წინააღმდეგ."

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

192. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ საცხოვრებელ შენობათა საიჯარო ქირის განაკვეთების სანიმუშო დიფერენცირებული შკალის შესახებ.

„ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 12 №-ი, მუხ. 140) III კარის „გ“ პუნქტის შესაბამისად,— სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათა საცხოვრებელი ფართობის ერთეულის საიჯარო ქირის შემდეგი სანიმუშო დიფერენცირებული შკალა იმ შემთხვევისათვის, როდესაც საბინაო ქირის ძირითადი განაკვეთი უდრის 26 კაპიკს, საცხოვრებელი ფართობის კვადრატული მეტრის საშუალო სამშენებლო ღირებულება—80 მანეთს და სახლმფლობელობის შემოსავალი საცხოვრებელი ფართობის ერთეულზე საბინაო ქირის ძირითადი განაკვეთის ნახევარზე მეტია, ხოლო ამ განაკვეთს არ აღემატება:

საცხ. ფართობის 1 კვ. მეტრის შემოსავალი თვეში კაპიკობით.				ამორტიზაცია %%-ით საცხ. ფართობის 1 კვ. მეტრის სამშენებლო ღირებულების მიმართ.	საცხ. ფართობის 1 კვად. მეტრის საიჯარო ქირა თვეში, კაპიკობით.
13	კაპ.	მეტი	14-კაპ-მდე	0,500	3,3
14	„	„	15 „	0,525	3,5
15	„	„	16 „	0,555	3,7
16	„	„	17 „	0,585	3,9
17	„	„	18 „	0,630	4,2
18	„	„	19 „	0,675	4,5
19	„	„	20 „	0,720	4,8
20	„	“	21 „	0,765	5,1
21	„	„	22 „	0,810	5,4
22	„	„	23 „	0,855	5,7
23	„	„	24 „	0,900	6,0
24	„	„	25 „	0,945	6,3
25	„	„	26 „	1,000	6,6

2. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, სადაც საბინაო ქირის ძირითადი განაკვეთი და შენობათა საშუალო სამშენებლო ღირებულება წინა მუხლში აღნიშნული ნორმებისაგან განსხვავდება, საიჯარო ქირის განაკვეთი სათანადოდ შეიცვლება; ამ შემთხვევაში საიჯარო ქირა დაწესდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისდამიხედვით, თუ საბინაო ქირის რა ძირითადი განაკვეთი არსებობს უწყებულ ადგილას და როგორია შენობათა სამშენებლო ღირებულება, ხოლო აუცილებლად დაცულ უნდა იქნეს საამორტიზაციო ანარიცხების წინა მუხლში აღნიშნული უმაღლესი და უმდაბლესი პროცენტული შეფარდება საცხოვრებელი ფართობის კვადრატული მეტრის სამშენებლო ღირებულებისადმი (0,500—1.000).

3. იმ სახლმფლობელობის საიჯარო ქირა, რომლის შემოსავალიც საცხოვრებელი ფართობის ერთეულზე უწყებული დასახლებული ადგილისათვის დაწესებული საბინაო ქირის ძირითადი განაკვეთის ნახევარს არ აღემატება, უკეთუ ეს სახლმფლობელობა ადგილობრივი საბჭოს თუ აღმასუულებელი კომიტეტის დადგენილებით საიჯარო ქირისაგან განთავისუფლებული არ არის, არ შეიძლება შენობის საშუალო სამშენებლო ღირებულების ნახევარ პროცენტს აღემატებოდეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**
სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.
ტფილისი.

---

193. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 23 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

23 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202; 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 15; 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 43) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„23. მე-20 მუხლით გათვალისწინებული ნორმის ზედმეტი, საცხოვრებლად ვარგისი, ფართობისათვის ბინის ქირის სათანადო განაკვეთს დამქირავებელი გადაიხდის ერთი-სამად.

უკეთუ დამქირავებელი მუშაა ან მოსამსახურე და ზედმეტი ფართობი, რაც მთელ ოჯახზე მოდის, არ აღემატება ერთი კაცისათვის დაწესებულ ნახევარ ნორმას, ქირა ამ ზედმეტი ფართობისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთმაგი რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა მუხლის პირველი ნაწილით ზედმეტი საცხოვრებელი ფართობისათვის დადგენილ გადიდებულ ქირას მუშა თუ მოსამსახურე გადაიხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ზედმეტი ფართობი, შეღავათიანი ნახევარი ნორმის ჩათვლით, შეიძლება ტეხნიკურად გამოყოფილ იქნეს საერთო ფართობიდან როგორც არაგასავლელი ოთახი, რომელსაც ცალკე შესასვლელი ექნება; ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში დაცულ უნდა იქნეს არსებული კანონმდებლობა—ბინებში მცხოვრებთა იძულებით შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81 და მე-19 №-ი, მუხ. 286; 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 129).

23 მუხლის შენიშვნები: 1-ლი (კან. კრ. 1931 წ. მე 3 №-ი, მუხ. 43) და მე-3 (კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი. მუხ. 15) დატოვებულ იქნეს ძალაში.

23 მუხლის მე-2 შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

194. დადგენილება ს.კ.ს.

„სახელმწიფო შენაერთებისა, ტრესტებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა თაობაზე“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ.

„სახელმწიფო შენაერთებისა, ტრესტებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა („სსრკ-ის ცენტრ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 204 №-ი 1931 წ. ივლისის 26-ისა) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 210 №-ი 1931 წ. აგვისტოს 2-ისა) შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანური მნიშვნელობის ყველა სამეურნეო ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარი განხილვისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, არა უგვიანეს 1931 წ. აგვისტოს 9-ისა, ასლი იმ ბალანსებისა 1931 წ. იანვრის 1-სთვის, რასაც იგი ურდგენს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე, და დაურთოს ამ ბალანსებს განცხადება საბრუნავ სახსართა შესახებ და 1931 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმა.

2. განემარტოს სამეურნეო ორგანიზაციებს, რომ საბრუნავ სახსართა განსაზღვრა დამოკიდებულია როგორც ბალანსისა, ისე 1931 წლის სახსართა შესახები განცხადების თავის დროზე წარდგენისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოეწყოს კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხ. ამხ. რუხაძე (თავმჯდომარე), ბასილაია (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო), ლომთათიძე (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი), ბერაძე (მომარაგების სახალხო კომისარიატი) და უბირია (ფინანსთა სახალხო კომისარიატი) და წინადადება მიეცეს ამ კომისიას გამოარკვიოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არა უგვიანეს ამა აგვისტოს 14-ისა, ცნობები იმ საკუთარ საბრუნავ სახსართა რაოდენობის შესახებ, რაც საჭიროა როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო შენაერთებისა, ტრესტებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, არა უგვიანეს ამა აგვისტოს 12-ისა, განცხადება საკუთარ საბრუნავ სახსართა რაოდენობის შესახებ, რაც საჭიროა ადგილობრივი მრეწველობისათვის.

5. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, არა უგვიანეს ამა აგვისტოს 9-ისა, განცხადება საკუთარ საბრუნავ სახსართა რაოდენობის შესახებ, რაც საჭიროა ადგილობრივი მრეწველობისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აგვისტოს 3.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 178 №-ში 1931 წ. აგვისტოს 5.

---

195. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 3-ის დადგენილების მე-3 მუხლი (კან. კრ. 1931 წ. № 6 №-ი, მუხ. 71) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადის მღვრული განაკვეთების დაწესებისათვის საქართველოს სსრ-ის სხვადასხვა ადგილები, მათი ეკონომიური ძალოვნობის მიხედვით, განაწილდება ოთხ კატეგორიად: პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ქ. ტფილისი, ბათომი, სოხუმი და ქუთაისი; მეორე კატეგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიას—ქ. ცხინვალი, სიღნაღი, თელავი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, ჭიათურა, ხონი, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი და ოზურგეთი; მესამე კატეგორიას—დანარჩენი ქალაქები და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები; მეოთხე კატეგორიას—სოფლები".

11. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1930 წლის ოქტომბრის 1-დან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 198 №-ში 1931 წ. აგვისტოს 29.

---

196. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლისათვის „გ¹" პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 3-ის დადგენილების (კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) მე-5 მუხლს დაემატოს პუნქტი „გ¹" შემდეგი შინაარსისა:

[5. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლდება:.....]

„გ¹) სატრანსპორტო საშუალება, რაც ეკუთვნის პერსონალურ პენსიონერს, უკეთუ იგი გამოიყენება პენსიონერის და მისი ოჯახის პირადი საჭიროებისათვის".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

---

197. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე" გამოცემული დადგენილების 21 მუხლის „დ" პუნქტის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების 21 მუხლის „დ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[21. სანახაობისა და გასართობის გადასახადისათვის დაწესებულია შემდეგი მტკიცე განაკვეთები:.....]

„დ) კინემატოგრაფისათვის—ბილეთის ფასის 10%“;

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1931 წ. აპრილის 15-დან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 198 №-ში აგვისტოს 29.

ზ რ ო ბ ა

198. დადგენილება ს.კ.ს.

შორეულ ადგილებში და ქალაქის ტიპის დიდრონი დასახლებული ადგილების გარეთ მომუშავე პირთა შეღავათების დებულების გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის შორეულ ადგილებში და ქალაქის ტიპის დიდრონი დასახლებული ადგილების გარეთ მომუშავე პირთა შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის აგვისტოს 12-ის დადგენილების (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 41 №-ი, მუხ- 426) მე-2 და მე-7 მუხლებისა და ა/კსფსრ-ის შორეულ ადგილებში და ქალაქის ტიპის დიდრონი დასახლებული ადგილების გარეთ მომუშავე პირთა შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის ივნისის 2-ის დადგენილების მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

გაუქმებულ იქნეს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ივნისის 15-ის დადგენილება სოფლის სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფისა და სასოფლო-სამედიცინო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობის და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შესახებ (კან. კრ. 1927 წ. 6 №-ი, მუხ. 195).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 3-ის დადგენილება სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა მდგომარეობის გა-
უმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (კან. კრ. 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 217).

II.

სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეთა და აგრეთვე სასოფ-
ლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა შვილების სასწავლებლებში მიღე-
ბის მხრივ მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ გამოცემული საქართვე-
ლოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ივნისის 4-ის დადგენილების
(კან. კრ. 1929 წ. 13 №-ი, მუხ. 142) მე-2 აბზაცი მიღებულ იქნეს შემდეგი
რედაქციით:

„სამედიცინო და სავეტერინარო დარგის იმ მომუშავეთა და სასოფლო და
სატყეო მეურნეობის იმ სპეციალისტთა შვილებს, რომელთაც საბჭოთა ხელი-
სუფლების დროს სამი წელიწადი მაინც უმუშავნიათ სოფელ ადგილას, მუშებით
დასახლებულ ადგილას და აგრეთვე ქალაქის ტიპის დიდრონი დასახლებული
ადგილების გარეთ, ხოლო ისეთ უბანში, რომელიც სოფლის მოსახლეობას მომ-
სახურეობას უწევს, მათ შორის—აღნიშნული კატეგორიების იმ გარდაცვლილ
პირთა შვილებსაც, რომელთაც აღნიშნული დროის განმავლობაში უმუშავნიათ,
მიენიჭოს სასწავლებლებში შესვლისათვის ყველა ის უპირატესობა, რაც მუშე-
ბის შვილებს აქვთ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აგვისტოს 13.
ტფილისი.

სოციალურ-კულტურული წყობილება

199. დადგენილება ც.ა.კ.

ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება სრულიად საქართველოს ცენტ-
რალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღ-
ლესი საბჭოს შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 ივლისის 4.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ.

1. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს დაეკისრება ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს, გააერთიანოს და დაგეგმოს მთელი ის მუშაობა ფიზიკურ კულტურის დარგში, რასაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში აწარმოებენ სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პროფესიონალური კავშირები, კომკავშირი, კოოპერაცია, თავისუფალი საზოგადოებანი და სხვ).

ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო მთელ თავის მუშაობას ფიზიკური კულტურის დარგში წარმართავს სოციალისტური მშენებლობის ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ამოცანებისა და ქვეყნის თავდაცვის ღონისძიებების შესაბამისად.

2. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს გამგებლობის საგანს საქართველოს სსრ-ის ფარგლებში შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურის საბჭოების მუშაობას;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფესიონალური კავშირების, კომკავშირის, კოპერაციის, თავისუფალი საზოგადოებების და სხვ.) მუშაობას ფიზიკური კულტურის სფეროში და განახორციელოს კონტროლი ამ მუშაობის მიმართ, ხოლო ამასთანავე უზურნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაქსიმალური ინიციატივა;

გ) შეიმუშაოს ძირითადი დებულებანი საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ფიზიკური კულტურის მშენებლობის დარგში, განიხილოს და გადაწყვიტოს ფიზიკური კულტურის ძირითადი საორგანიზაციო და საპროგრამო საკითხები, რასაც დაამუშავებენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამეცნიერო-საკვლეო და სასწავლო მუშაობას ფიზიკური კულტურის დარგში და აგრეთვე მოაწყოს ფიზიკური კულტურის ახალი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებანი;

ე) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს სასპორტო-სატეხნიკო მუშაობას.

ვ) მოამზადოს და გადაამზადოს კადრები, მოაწყოს სემინარიები ფიზიკური კულტურის დარგში;

ზ) აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფიზიკური კულტურის დარგში სათანადო ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) მოაწყოს სააგიტაციო-საპროპაგანდო და საგამომცემლო მუშაობა ფიზიკური კულტურის საკითხების დარგში და განახორციელოს საგამომცემლო საქმე ამ საკითხების სფეროში;

ი) განახორციელოს ფიზიკური კულტურის ნაგებობათა მშენებლობისა და ფიზიკური კულტურის ინვენტარის წარმოების საერთო დაგეგმვა;

კ) მოაწყოს, დაგეგმოს და ჩაატაროს სრულიად საქართველოს ყრილობები, თათბირები, ფიზიკური კულტურის მასიური დღესასწაულები, შეჯიბრები, გამოფენები და სხვ.;

ლ) მოაწყოს საქალაქთაშორისო დღესასწაულები, დაამყაროს და განავითაროს საქალაქთაშორისო კავშირი ფიზიკური კულტურის პროლეტარულ ორგანიზაციებთან საზღვარგარეთ;

მ) დააწესოს აღნუსხვისა და ანგარიშგების სისტემა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ფიზკულტურული მუშაობის დაყენების საქმეში;

ნ) განსაზღვროს ძირითადი გეზი და პროგრამები, აგრეთვე გამოსცეს ინსტრუქციები როგორც სპეციალური განათლების მქონე, ისე ასეთი განათლების არა მქონე მასწავლებლების და ინსტრუქტორების მომზადების და გადამზადების ჩატარების სფეროში, როგორც თავისი ინიციატივით, ისე დაინტერესებული უწყებების, ორგანიზაციების და ფიზიკური კულტურის რესპუბლიკანური საბჭოების ინიციატივით.

3. აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს:

ა) საბოლოოდ გადასწყვიტოს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფიზკულტურულ მუშაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი; ამასთანავე ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში;

ბ) ჩაატაროს ფიზიკური კულტურის ყველა რესპუბლიკანური და ადგილობრივი საბჭოების მოქმედებისა და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სათანადო მუშაობის გამოკვლევა;

გ) მოისმინოს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პერიოდული მოხსენებანი და მოაწყოს მათი არაპერიოდული თათბირები ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობის შესახებ;

დ) მიმართოს საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ ორგანოებს ფიზიკური კულტურის ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და სამმართველობო საკითხების გამო;

ე) გამოსცეს პერიოდული ჟურნალები და არაპერიოდული შრომები, ბროშურები, ფურცლები და სხვ. ფიზიკური კულტურის საკითხების შესახებ.

4. ფიზიკური კულტურის ხელმძღვანელ მომუშავეებს დანიშნავენ და თანამდებობიდან დაითხოვენ სათანადო უწყებები და ორგანიზაციები ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შედგენილობაში შედის:

ა) 15 კაცი, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი;

ბ) ორ-ორი წარმომადგენილი აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და აგრეთვე ერთი წარმომადგენელი სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქისა;

გ) სამი წარმომადგენელი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა;

დ) ორი წარმომადგენელი განათლების სახალხო კომისარიატისა;

ე) თითო წარმომადგენელი საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, შრომის სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და აგრეთვე ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი;

ვ) ორი წარმომადგენელი ქართული დივიზიისა და ერთი წარმომადგენელი საქართველოს სსრ-ის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებისა;

ზ) სამი წარმომადგენელი საქართველოს სსრ-ის პროლეტარულ სასპორტო საზოგადოების—„დინამოსი";

თ) ერთი წარმომადგენელი საქართველოს სსრ-ის პროლეტარული ტურიზმის საზოგადოებისა;

ი) ათი წარმომადგენელი საქართველოს სსრ-ის პროფკავშირთა საბჭოსი;

კ) ექვსი წარმომადგენელი კომკავშირისა;

ლ) სამი წარმომადგენელი ფიზიკური კულტურის ტფილისის საბჭოსი;

მ) ერთი წარმომადგენელი ფიზიკური კულტურის ჭიათურის საბჭოსი;

ნ) ორი წარმომადგენელი რკინისგზელთა პროფკავშირის სარაიონო ორგანიზაციისა.

✓ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს პერსონალურ შედგენილობას მთლიანად დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

6. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს მთელ მიმდინარე მუშაობას ანხორციელებს მისი პრეზიდიუმი. პრეზიდიუმი შესდგება ცხრამეტი კაცისაგან, რომელთაც აირჩევს აღნიშნული საბჭო და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

7. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო მოაწყობს თავისთან შემდეგ სექტორებს:

ა) საორგანიზაციო,

ბ) სამეცნიერო-სამეთოდო,

გ) სასპორტო-სატეხნიკო (რომელთანაც არსებობს მსაჯთა რესპუბლიკანური კოლეგია),

დ) სოფლად ფიზკულტურული მუშაობის,

ე) საჭადრაკო-საშაშო,

ვ) სააგიტაციო-საგამომცემლო,

ზ) სასპორტო მეურნეობის და

თ) ბავშვთა შორის ფიზკულტურული მუშაობის სექტორი.

ამის გარდა, ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოსთან შეიძლება მოეწყოს მუდმივი და დროებითი კომისიები ცალკეული საკითხების დასამუშავებლად სპეციალისტებისა და საზოგადოებრივი აქტივის მონაწილეობით.

8. ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოსთან მოეწყობა ტეხნიკური აპარატი, რომლის შტატიც განისაზღვრება არსებული წესისამებრ.

9. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ხარჯთაღრიცხვა შეიტანება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯთაღრიჯხვაში განსაკუთრებული პარაგრაფით.

10. ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს აქვს თავისი ბეჭედი საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით.

---

200. დადგენილება ს.კ.ს.

წარმოებაში მომუშავე მუშათა, მუშა-ქალთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

„კვალიფიციური მუშა-ძალის მომზადების ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. იანვრის 10-ის დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, რომელი დადგენილებაც მიღებულ იქნა მე-V მოწვევის მე-3 სესიის მიერ სსრკ-ის შრომის სახალხო კომისრის მოხსენების გამო (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 63), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი წარმოებაში მომუშავე მუშათა, მუშა-ქალთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, კერძოდ იმ მხრით, რომ სამკურნალო დახმარება დაუახლოვდეს საწარმოთ:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ამა თუ იმ საწარმოსთან პირველი დახმარების მოწყობა, მათი პროფილაქტური მუშაობის გაძლიერებით;

ბ) უზრუნველყოფილ იქნენ საწარმონი სანიტარი-ექიმებით და სპეციალური სასანიტარო დანადგამებით;

გ) უზრუნველყოფილ იქნენ სამკურნალო დახმარებით საღამოობით და ღამით მომუშავენი;

დ) განხორციელებულ იქნეს დისპანსერიზაციის სისტემა, რამაც ფართოდ უნდა მოიცვას სამრეწველო მუშები;

ე) გაფართოებულ იქნეს ქალთა კონსულტაციებისა და ბაგების ქსელი და გადიდებულ იქნეს საწოლთა რიცხვი მშობიარეთათვის იმ საავადმყოფოებში, რომლებიც მომსახურეობას უწევენ საწარმოთ;

ვ) მოეწყოს და დაეახლოოს წარმოებას პროფამბულატორიები, პედოლოგიური ლაბორატორიები და მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) უზრუნველყოფილ იქნეს იმ მოზარდთა სამკურნალო შემოწმება, რომელნიც იგზავნებიან საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში, და აგრეთვე იმ პირებისა, რომელნიც მიიღებიან მძიმე და საშიშარ სამუშაოზე, სადაც ეს დადგენილია სათანადო წესებით;

თ) გაფართოებულ და უზრუნველყოფილ იქნეს სანატორიებისა, საჯანმრთელოებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა გამოყენება მუშებისა, მუშა-ქალებისა და მოზარდების მიერ მთელი წლის განმავლობაში;

ი) გაძლიერებულ იქნეს საერთოდ—მუშათა დაავადებისა და კერძოდ—პროფესიონალური დაავადების შესწავლა;

2. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე, შრომის სახალხო კომისარიატთან და ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით, და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელების კონკრეტული გეგმა და განსაზღვროს კანონის შესაბამისად ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების წყაროები (ადგილობრივი ბიუჯეტისა, დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდისა და სამეურნეო ორგანიზაციების სახსრიდან).

აღნიშნული გეგმით გათვალისწინებულ იმ ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯები, რის განხორციელებაც შესაძლებელია მიმდინარე სამეურნეო წელს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო ასიგნებით შესაფერი უწყებებისა, დაწესებულებებისა, და ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებში და სამრეწველო-საფინანსო გეგმებში; ხოლო ის თანხები, რაც საჭიროა გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთლად განხორციელებისათვის, მიღებულ უნდა იქნეს ანგარიშში 1932 წლის ადგილობრივი ბიუჯეტებისა, დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის ხარჯთაღრიცხვებისა და სამეურნეო ორგანიზაციების სამრეწველო-საფინანსო გეგმების შედგენის დროს.

3. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს იხმარონ ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივნისის 23.

ტფილისი.

* გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 183 №-ში 1931 წ. აგვისტოს 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

201. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს შესახებ.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აგვისტოს 13.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს შესახებ.

1. ინვალიდების შრომითი მოწყობისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებათა წარმატებით განსახორციელებლად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსდება ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭო.

2. ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს თავმჯდომარე არის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე.

3. საბჭოს შედგენილობაში, მისი მუდმივი წევრების სახით, შედიან შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელნი: შრომის სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, მომარაგების სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირისა, სარეწაო კოოპერაციის სრულიად საქართველოს კავშირისა (სარეწაო კავშირი), ომის ინვალიდთა დახმარების საქართველოს კომიტეტისა, სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა, სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისა, გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისა, შრომის სამეცნიერო ინსტიტუტისა, ცეკავშირისა და ტფილისის საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა.

აღნიშნულ წარმომადგენლებსა და მათ მოადგილეებს პერსონალურად დანიშნავენ სათანადო უწყებები და ორგანიზაციები პასუხისმგებელ მომუშავეთაგან.

4. ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭო აწარმოებს შემდეგ მუშაობას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) განიხილავს საერთო საორგანიზაციო საკითხებს, რაც დაკავშირებულია ინვალიდების შრომითი მოწყობის საქმესთან;

ბ) განიხილავს იმ უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიებათა პროექტებს, რაც მიმართულია ინვალიდთა შრომის გამოყენების გაფართოებისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის სახელმწიფო, კოოპერატიულ, სავაჭრო და სხვა დაწესებულებასა და საწარმოში და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციაში;

გ) განიხილავს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილ გეგმას ინვალიდთა შრომის გამოყენებისას;

დ) განსაზღვრავს ყოველწლიურად ინვალიდების შრომითი მოწყობისათვის გადასადები ასიგნების რაოდენობას:

ე) მოისმენს მოხსენებებს ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც დაკავშირებულია ინვალიდების შრომითი მოწყობის საქმესთან;

ვ) შეიმუშავებს სახელმძღვანელო წინადადებებს ინვალიდების შრომითი მოწყობის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ;

ზ) განიხილავს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულ გეგმებს საწარმოო მოქმედებისათვის ინვალიდების მომზადებისას შრომის სწავლებით, შრომის ხელახალი სწავლებით და შრომის ბოლომდე სწავლებით, აგრეთვე განიხილავს, ინვალიდების პროტეზებით და ორტოპედული ფეხსაცმელით მომარაგების გეგმებს;

თ) განსაზღვრავს იმ პროფესიებსა და თანამდებობებს, რაც მიმაგრებულ უნდა იქნეს ინვალიდებზე და იმ ინვალიდების კატეგორიებს, რომელნიც მიღებულ უნდა იქნენ ამ თანამდებობებზე უპირატესად ყველა სხვა მოქალაქის წინაშე (განსაზღვრულ თანამდებობათა დაბრონირება), აგრეთვე განსაზღვრავს მოსაქმეობის სხვადასხვა სახეს, რაც მიმაგრებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ინვალიდებზე;

ი) განსაზღვრავს სხვადასხვა საქონლის სახეს, რომლის წვრილი ცალობითი ვაჭრობა უნდა დაეთმოს უპირატესად ინვალიდთა არტელებს და მათ საწარმოთ (როგორიც არის: თამბაქო, პაპიროსი, ასანთი და სხვ.).

5. საბჭოს სხდომები მოხდება საჭიროებისადამიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც, და ეს სხდომები შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მათ დაესწრო არა ნაკლებ, ვიდრე საბჭოს წევრთა ნახევარი რიცხვი.

6. გადაწყვეტილება საბჭოში მიიღება დამსწრე წევრთა ხმის უმეტესობით და განხორციელებულ იქნება სათანადო უწყებისა და ორგანიზაციის მიერ.

7. ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს გადაწყვეტილებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

8. ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს თავისი აპარატი არა ჰყავს და მას მომსახურეობას უწევს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის აპარატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

202. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღის და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 67¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„67¹. ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახურის არაპატივსადებ მიზეზით სწავლებაზე (სამსახურის პირველ წელიწადში, აგრეთვე სასწავლო და მოკლევადიან თავმოყრაზე) გამოუცხადებლობა თავისი ცხენით, როდესაც ცხენით გამოცხადება სავალდებულოა, აგრეთვე ცხენისა, საზიდავისა და შესაბმელობის პატრონის მიერ უარის თქმა ან თავის არიდება ტერიტორიალური ნაწილის განკარგულებაში მათი გადაცემისათვის ამ ნაწილის ცვალებადი შედგენილობის სწავლების დროს გამოიწვევს

ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

ტერიტორიალურ ნაწილზე ცხენისა, საზიდავისა და შესაბმელობის მიწერის წესების დარღვევა—

ჯარიმას ორმოცდაათ მანეთამდე“.

2. 196 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„196. განცხადებაში გამოგონების შესახებ წინასწარი შეცნობით გამონაგონის ავტორის არასისწორით აღნიშვნა, განცხადებამდე გახმაურება გამომგონებლის თანხმობის გარეშე, აგრეთვე თვითნებისად, საავტორო უფლების კანონის დარღვევით, ლიტერატურული, მუსიკალური და სხვა მხატვრული ან მეცნიერული ნაწარმოების გამოყენება გამოიწვევს

იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას ათას მანეთამდე“.

3. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 196¹, 202¹ და 208¹ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„196¹. იმ გამონაგონის სამართალშეუსაბამო გამოყენება, რომლის განხორციელების უფლებაც სახელმწიფოს ეკუთვნის, აგრეთვე საიდუმლო გამონაგონთა და გაუმჯობესებათა გამოქვეყნება ბეჭდვითი სიტყვით ან მათი შინაარსის გახმაურება, რა საშუალებითაც უნდა მოხდეს იგი, უკეთუ ეს გამოქვეყნება ან გახმაურება არ შეიცავს ამა კოდექსის 127 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე, იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ორი ათას მანეთამდე“.

„222¹. ასაფეთქებელი და ადვილად ასაალებელი ნივთიერების და საგნისა, აგრეთვე მწვავე მჟავას და სხვა მწვავე ნივთიერების გაგზავნა ფოსტით გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწვევს, გარდა უკანონოდ გაგზავნილი საგნების კონფისკაციისა სსრკ-ის საფოსტო, სატელეგრაფო და რადიო კავშირგაბმულობის წესდების მიხედვით,

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ათას მანეთამდე".

„208[1]. სსრკ-ის ნავჭურჭელზე, აგრეთვე უცხოეთის ნავჭურჭელზე, რომელიც სსრკ-ის წყლებზეა, რადიოდანადგამის გამოყენებისათვის არსებული წესების დარღვევა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან ჯარიმას ათი ათას მანეთამდე".

4. დაწესდეს სისხლის სამართლის კოდექსის შედგენილობაში მე-VII[1] თავი—საავტორო უფლებისა, გამოგონების უფლებისა და სამრეწველო ნიმუშებისა, ფირმისა და სასაქონლო ნიშნების უფლების საწინააღმდეგო დანაშაული—და ამ VII[1] თავს მიეკუთვნოს 196, 196[1] და 197 მუხლები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

---

203. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული სანქციის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული სანქცია მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით და ადგილობრივი ტერიტორიიდან გადასახლებით, ან გადაუსახლებლად".

სრ საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

204. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის, დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ის მუხ. 7) და „მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სსრკ-ის კანონმდებლობის შეცვლის შესახები“ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 36 №-ი, მუხ. 263) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

I. 127^1, 127^2 და 127^3 მუხლების პირველი ნაწილების (კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 130) დისპოზიციები (აღწერილობითი ნაწილი) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„127^1. შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის პირის მიერ სამსახურის თვითნებობით ვადამდე დატოვება გამოიწვევს“.....

„127^2. სამსახურის წესით გაცემული ბრძანების შეუსრულებლობა შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის პირის მიერ გამოიწვევს“.....

„127^3. შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის პირის მიერ ძალადობითი მოქმედებით თავმდგომისა და უმცროსის მიერ უფროსის შეურაცხყოფა, უკეთუ ამ დროს ერთი მათგანი მაინც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, გამოიწვევს“.....

II. „127^4 მუხლი (კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 130) გაუქმებულ იქნეს.

III. სამხედრო დანაშაულთა დებულების 1-ლი მუხლის მეორე ნაწილი (კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 154) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სამხედრო დანაშაულათ ჩაითვლება აგრეთვე სამსახურის შესრულებისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რასაც ჩაიდენს სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა დამცველი გამხედროებული რაზმისა და სახანძარო დამცველი გამხედროებული რაზმის შედგენილობის პირი, აგრეთვე მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეთა საოპერატივო-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვალ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. აგვისტოს 18.

ტფილისი.

მთავლ. № 1628. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.050